

N 2-01/8413
07/08/2017

8413-2-01-2-201708071032



www.factcheck.ge-ს ანალიტიკოსს
ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს
მისამართი: ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. №6, ბ.43.
პირადი ნომერი: 62011003485
ტელ: 557 20 00 01
ელ-ფოსტა: editorrekhviashvili@gmail.com

ქალბატონო ნაზიბროლა,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში 2017 წლის 25 ივლისს შემოვიდა თქვენი წერილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. აღნიშნული წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ:


- ბათუმი (ანგისა) – ახალციხე (ს-1) შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო – ზარზმას მონაკვეთის (კმ1 - კმ29) სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით შესყიდვა გამოცხადდა 2017 წლის 14 თებერვალს. ამჟამად მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები;
- ბათუმი (ანგისა) – ახალციხე (ს-1) შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო – ზარზმას მონაკვეთის I ლოტის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება განხორციელდება არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდის მიერ, ხოლო II ლოტის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს დაფინანსებს საქართველოს მთავრობა. მიმდინარეობს მოლაპარაკება არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდთან და ფონდის მიერ შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფის შემთხვევაში, დახარჯული თანხები გათვალისწინებული იქნება სასესხო ხელშეკრულებაში;
- ინფორმაცია მშენებლობის გრაფიკთან, ვადებთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებით დაზუსტდება ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ;
- „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის „გზების მშენებლობისა და მოვლა-შენახვის“ (პროგრამული კოდი 25 02 02) პროგრამით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში და „საქართველოს 2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №348 ბრძანებით დამტკიცებული „ბათუმი (ანგისა)– ახალციხის საავტომობილო გზის ხულო–ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია–რეკონსტრუქციის (Kuwait Fund)“ (პროგრამული კოდი 25 02 02 18) ქვეპროგრამის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა – 195 000 ლარს, ხოლო II კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა – 395 000 ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯმა 2017 წლის I კვარტალში შეადგინა – 193 950 ლარი, აქედან 63 000 ლარი მიმართულ იქნა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)– ახალციხის საავტომობილო გზის გოდერძი–ზარზმის მონაკვეთის (ლოტი II) კმ0+000–კმ17+380 მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმის განახლების მომსახურებაზე, ხოლო დარჩენილი 130 950 ლარი –შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)–ახალციხის საავტომობილო გზის (შ-1) ხულო–ზარზმის მონაკვეთის (ლოტი I: ხულო–გოდერძის უღელტეხილი, დაახლოებით 29კმ და ლოტი II: გოდერძის უღელტეხილი–ზარზმა, დაახლოებით 17კმ) რეაბილიტაცია–რეკონსტრუქციისათვის მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციის განახლების მომსახურებაზე. 2017 წლის II კვარტლის ფაქტიურმა საკასო ხარჯმა შეადგინა – 371 772,22 ლარი, აქედან დეპარტამენტის მიერ ანაზღაურებულ იქნა 5 722,22 ლარი პროექტთან დაკავშირებული

საკონსულტაციო მომსახურების გაწევისათვის, ხოლო 366 050 ლარი გასახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების გამოსასყიდად.

- „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის „გზების მშენებლობისა და მოვლა-შენახვის“ (პროგრამული კოდი 25 02 02) პროგრამით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში და „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალურ განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №474 ბრძანებით დამტკიცებული „ბათუმი (ანგისა)– ახალციხის საავტომობილო გზის ხულო–ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია–რეკონსტრუქციის (Kuwait Fund)“ (პროგრამული კოდი 25 02 02 18) ქვეპროგრამის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა – 50 000 ლარს, ხოლო IV კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა – 450 000 ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯმა 2016 წლის III კვარტალში შეადგინა – 42 490 ლარი, რომელიც მიმართულ იქნა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)–ახალციხის საავტომობილო გზის ხულო–ზარზმის მონაკვეთის (ლოტი I კმ80–კმ110 (ხულო გოდერძის უღელტეხილი)) მშენებლობის მიზნით განსახლების გეგმის განახლების მომსახურებაზე. 2016 წლის IV კვარტლის ფაქტიურმა საკასო ხარჯმა შეადგინა – 454 265 ლარი, აქედან დეპარტამენტის მიერ ანაზღაურებულ იქნა 148 715 ლარი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)–ახალციხის საავტომობილო გზის ხულო–ზარზმის მონაკვეთის (ლოტი I კმ80–კმ110 (ხულო გოდერძის უღელტეხილი)) მშენებლობის მიზნით განსახლების გეგმის განახლების მომსახურებაზე, ხოლო 305 550 ლარი მიმართულ იქნა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)–ახალციხის საავტომობილო გზის (შ-1) ხულო–ზარზმის მონაკვეთის (ლოტი I: ხულო–გოდერძის უღელტეხილი, დაახლოებით 29კმ და ლოტი II: გოდერძის უღელტეხილი–ზარზმა, დაახლოებით 17კმ) რეაბილიტაცია–რეკონსტრუქციისათვის მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციის განახლების მომსახურებაზე.
- ბათუმი–ახალციხის საავტომობილო გზის ხულო–გოდერძი (I ლოტი) და გოდერძი–ზარზმის (II ლოტი) მონაკვეთზე, განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით არსებული 699 მიწის ნაკვეთიდან (I ლოტი - 561 ნაკვეთი; II ლოტი - 138 ნაკვეთი), გამოსყიდვას ექვემდებარება 506 ნაკვეთი (I ლოტი - 487 ნაკვეთი; II ლოტი - 19 ნაკვეთი). 193 მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაშია. კომპენსაციის საერთო თანხა ორივე ლოტზე შეადგენს 5 418 150.83 ლარს, აქედან, I ლოტზე - 5 080 375.83 ლარი და II ლოტზე - 337 775 ლარი. მიწა დიფერენცირებულია ადგილმდებარეობის მიხედვით და დაყოფილია კატეგორიებად, რომელთაგანაც თითოეულს გააჩნია თავისი ფასი, I ლოტზე - 2.0, 6.70, 8.25, 10.30, 14.20 და 14.40, ლარი, ხოლო II ლოტზე - 2, 5, 7.5, 9, 11, 13 და 14 ლარი. დღეის მდგომარეობით, ჩვენს მიერ გამოსყიდულია 43 მიწის ნაკვეთი, რომლის ჯამური კომპენსაცია შეადგენს 844 573 ლარს.

პატივისცემით,

ნათია ლომაურიძე



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

ადმინისტრაციული სამსახური